

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №16

08.11.2012

ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკაღიშვილი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ზაქარია შველიძე - საბჭოს მდივანი;

დომიტრი ალავეძე - წევრი;

ზაზა ლაზარაშვილი - წევრი;

მადონა ჭეიშვილი - წევრი.

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუღრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

სერგო ჭელიძე;

დავით გუბელაძე;

მარინა მაისურაძე;

ეკატერინე გიგაშვილი;

ბეჟან ჯავახია;

ნინო ქიმერიძე;

ნანა ფრუიძე;

ირმა ღარიბაშვილი;

ნინო ფეტვიაშვილი;

მაია მადუაშვილი;

მარიამ დარბაიძე.

წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის წარმომადგენლები:

თინათინ ჭინჭარაული - პროექტის მენეჯერი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები:

მარიამ დარბაიძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ვლადიმერ რუსეიშვილი;

ნაილი მელანაშვილი.

შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ვალერი სუბიშვილი - რექტორი;

ლამა ნინოშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მაგდა დავითაშვილი;

დიანა მჭედლიშვილი;

დავით მახაშვილი.

ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თეონა ხუფენია - რექტორი.

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნოდარ პაპუკაშვილი - რექტორი;

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

ირმა ნოზაძე - ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ზურაბ იაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის წარმომადგენელი;

შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის წარმომადგენლები:

ლიანა ჭოველიძე - რექტორი;

მაია ადვაძე - ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია ვასაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნინო ბოჭორიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე“, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო სხდომას გაუძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე, დავით კიკაელიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები“ (1 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მემცენარის მე-2 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მემცენარის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

46. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვა/აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
47. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საგადასახადო - საბაჟო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
48. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
49. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
50. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
51. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
52. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
53. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
54. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
55. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
56. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
57. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში, კერძოდ, 2012 წლის 2 აგვისტოს N310-ე და 2012 წლის 28 სექტემბრის N505-ე გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები და დააყენა შუამდგომლობა საბჭოს ემსჯელა აღნიშნულ გადაწყვეტილებებში უზუსტობების გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბჭომ იმსჯელა დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ და ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით:

1. ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები“ (1 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

53. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
54. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
55. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
56. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
57. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
58. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 2 აგვისტოს N310 და 2012 წლის 28 სექტემბრის N505 გადაწყვეტილებებში უზუტობების გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები“ (1 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროგრამის განმახორციელებლის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების მასალებს (მათ შორის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს). საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შუალედური და საბოლოო დასკვნები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

- პროგრამის ანოტაციის მიხედვით, პროგრამას ჩართვის წინაპირობა არ აქვს, თუმცა პროგრამაში მითითებულია, რომ ჩართვის წინაპირობაა ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო/სააღმზრდელო დაწესებულებაში მუშაობის მინიმუმ 3 თვის გამოცდილება (მაძიებლის პროგრამის ფარგლებშიც). რეკომენდებულია, პროგრამის ავტორები ჩამოყალიბდნენ წინაპირობის საკითხთან დაკავშირებით, რათა შეცდომაში არ შეიყვანონ პროგრამით დაინტერესებული პირები;

- პროგრამაში განსაზღვრულია მსმენელთა შეფასების სისტემა. პროგრამაში ვკითხულობთ: „ტრენინგის მონაწილეები შეფასდებიან დასწრებისა და დავალებების შესრულების მიხედვით. ტრენინგის მონაწილე პროგრამის ან არჩეული მოდულის 80% დასწრებისა და მოდულის დავალებების 80%-ის შესრულების შემთხვევაში მიიღებს პროგრამის/მოდულის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.“ ეს განმარტება ბუნდოვანია. მითითებული არ არის, თუ როგორ, როდის ან რა პირობით ირჩევს მსმენელი მოდულს. არ არის განსაზღვრული, რამდენი მოდულის არჩევის შემთხვევაში რა ტიპის სერტიფიკატს იღებს და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამა ერთკრედიტიანია. პროგრამის აღწერა მოიცავს მონაწილეთა შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისაღწევ შედეგებს. შეფასების მეთოდებში წერია: „მოცემულ მოდულში სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 80 ქულა.“ აქედან გამომდინარე, მოდულები არჩევითია, რომლებზეც გაიცემა სერტიფიკატები. პროგრამაში მითითებულია, რომ პირველი მოდული მოიცავს 4 საკონტაქტო საათს, მეორე მოდული - 6 საკონტაქტო საათს, მესამე მოდული - 5 საკონტაქტო საათს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამა გაწერილია 5 დღეზე, აქედან პირველ- მე-5 დღეებში ტრენინგი გაწერილია 3 საათზე, მე-5 დღეს - 2.30 წთ. (სულ მიმდინარეობს 14 საათი და 30 წუთი ნაცვლად 15 საათისა). გაუგებარია, როგორ მოხდება მოდულების არჩევა მსმენელების მიერ და შემდეგ - გამოიჯნვა სერტიფიკატის გაცემის დროს;

- პროგრამის სასწავლო გეგმის აღწერისას ჩანს, რომ ყველა ხელმისაწვდომი ადამიანური და მატერიალური რესურსი მიზანმიმართულადაა გამოყენებული, თუმცა, რამდენად უწყობს ხელს პროგრამის მიზნის მიღწევას, ბუნდოვანია;

- რთული დასადგენია პროგრამის ხანგრძლივობისა და დროში განაწილების, პროგრამის მიზნების და მისაღწევი შედეგების შესაბამისობა;

- მოდულის სტრუქტურა, სესიების თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანმიმდევრობა ისეა განაწილებული, რომ რთულია დასკვნის გაკეთება იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს მოდულის მიზნების მიღწევას;

- მოდულები არ არის გამოყოფილი დღეების მიხედვით (შეჭრილია) და ამიტომ თითოეული სესიისთვის საჭირო დროის მოდულის ხანგრძლივობის ადეკვატურობის დადგენაც რთულდება;

- მოდულის სესიებისათვის განკუთვნილი საათების ჯამური ხანგრძლივობა არ შეესაბამება საკონტაქტო საათების რაოდენობას. საათების გადათვლისას აღმოჩნდა, რომ 15 საკონტაქტო საათის მაგივრად, პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია 14 საათი და 30 წუთი.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში მოცემულ შეფასებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ პირველი შეფასება სარეკომენდაციო ხასიათის იყო, ხოლო დანარჩენი შეფასებები ხარვეზის ფორმით იყო დაფიქსირებული. ხარვეზების ძირითადი ბირთვი დაკავშირებული იყო იმასთან რომ, მწვრთნელთა კვალიფიციურობის მიუხედავად, პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მისი განხორციელება ერთი კრედიტში შეუძლებელია.

თავმჯდომარემ მისცა პროგრამის განმახორციელებელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. პროგრამის განმახორციელებელმა განმარტა, რომ პროგრამა სამ მოდულზეა გაწერილი, რომელიც მთლიანობაში ერთ კრედიტს ქმნის. მსმენელს, თავისი სურვილიდან გამომდინარე, შეუძლია არჩიოს ერთი ან რამდენიმე მოდული. სამივე მოდულის გავლის შემთხვევაში სერთიფიკატში აღინიშნება კრედიტის რაოდენობა, ხოლო სამზე ნაკლები მოდულის გავლის შემთხვევაში, სერთიფიკატში აღინიშნება იმ საათების რაოდენობა, რომელიც მსმენელმა მოისმინა. მოდულების ამგვარი გადანაწილება მასწავლებელთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

პროგრამის განმახორციელებელმა, ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული.

თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებებიდან, რომელი შეფასება უშლიდა ხელს პროგრამის განხორციელებას. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ერთი კრედიტისათვის განკუთვნილი დრო არ იყო საკმარისი პროგრამის იმ სახით განხორციელებისათვის, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციოდ. დროის სიმწირის გამო რეალურად შეუძლებელი იქნებოდა სათანადო კვალიფიკაციის გამომუშავება.

თავმჯდომარემ იკითხა, პროგრამაზე მსმენელთა მაქსიმალური ოდენობა თუ იყო დადგენილი.

თამარ შუდრამ საბჭოს მოახსენა, რომ მსმენელთა მაქსიმალური ოდენობა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად, არ აღემატებოდა 24 მსმენელს. მომხსენებელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მასწავლებლობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, ამავე კანონის 21⁷-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის სერთიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის. მასწავლებლობის უფლება განახლდება 8 წლის ვადით. 21⁷-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მასწავლებლობის უფლების განახლების ერთ-ერთი გზა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა და ამ სქემით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვებაა. მოცემულ შემთხვევაში, პროგრამა სამი მოდულისაგან შედგება და მთლიანობაში ერთ კრედიტს ქმნის. სამივე მოდულის გავლის შემთხვევაში, მსმენელი მიიღებს სერთიფიკატს, რაც მას საშუალებას მისცემს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართოს და ამ სქემით გათვალისწინებული კრედიტები დააგროვოს. სამზე ნაკლები მოდულის გავლის შემთხვევაში კი, მსმენელი ვერ შეძლებს კრედიტების დაგროვებას.

პროგრამის განმახორციელებელმა განმარტა, რომ აღნიშნული მათთვის ცნობილი იყო, თუმცა მოდულის გავლა, მსმენელს პროფესიული განვითარების საშუალებას მისცემდა. ამასთან, მსგავსი მოდულების შექმნა თავად მასწავლებლების სურვილი იყო.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ფსიქომეტრიული და საკონსულტაციო ასოციაციის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები“ (1 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ფსიქომეტრიული და საკონსულტაციო ასოციაციის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები“ (1 კრედიტი) - მიენიჭოს კრედიტაცია.

2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ზოგიერთი მიზანი, არ შეესაბამება პროგრამის მიზანდასახულებას და, შესაბამისად, არაა მიღწევადი (მაგ.: „ქართული ენისა და კულტურის არმცოდნე სტუდენტებისათვის ქართველებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მცხოვრები ერების ეთნოკულტურული, ისტორიული და ლინგვოკულტურული ცნობიერებისა და ყოფითი რეალობის სწავლება“. ასევე, ქართული ენის გრამატიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულების და სახეობების დაუფლება, ენობრივ-ზეპირმეტყველებითი ასპექტების, ლექსიკურ-იდიომატური სიტყვაფორმების შექმნა-გამომუშავება; ლოგიკური, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების უნარის გამომუშავება. და ა. შ). თუმცა, ექსპერტთა აზრით, პროგრამის მიზანი დაკონკრეტების შემთხვევაში ძირითადად მიღწევადია საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით;

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მათი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით;

- პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი: დისკუსია/დებატები, ინდუქციური, დედუქციური, ვერბალური, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წიგნზე მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტებითი სწავლება, წერითი მუშაობა; სილაბუსებში გაწერილი ლექციების და სემინარების აღწერილობა ზოგ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია, რადგან არ ითვალისწინებს კონტიგენტის შესაძლებლობებს (მაგ.: საგანი „ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა“. სილაბუსში მითითებულია, რომ 1 სალექციო საათის განმავლობაში უნდა აიხსნას „სახელების მართლწერის საკითხები: არსებით სახელის მართლწერა; ზედსართავი სახელის მართლწერა; რიცხვითი სახელის მართლწერა; ნაცვალსახელის მართლწერა; წარმოქმნილ სახელთა მართლწერა; კომპოზიტების მართლწერა.“);

- საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია თანამიმდევრულად, ძირითადად, სასწავლო კურსებს ლოგიკურად აქვს მითითებული წინაპირობა, ანუ კომპონენტი, რომლის ცოდნა აუცილებელია ამ სასწავლო კურსის ასათვისებლად. თუმცა, დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა: საგანს „ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია“ სილაბუსით წინაპირობა არ გააჩნია, პროგრამაში კი არარსებული საგანი „სამეტყველო ქართული ენა 1“ აქვს მითითებული. დასაზუსტებელია ასევე კურსის – „ფუნქციური წერა“ წინაპირობა („ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები –1“);

- სილაბუსების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მეთოდები არის ერთგვაროვანი, მოიცავს შუალედურ შემოწმებებს, ყოველკვირულ შემოწმებას და საბოლოო გამოცდას. სასურველია, შეფასების მეთოდები იყოს მრავალფეროვანი და თითოეული საგნის სპეციფიკაზე მორგებული;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა. სასურველია, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სილაბუსებში შეთავაზებული იყოს უფრო ადეკვატური, მრავალფეროვანი და თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას;

- თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის ძლიერი მხარეები არასწორადაა ფორმულირებული: „არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის საფუძველის შექმნა აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. კერძოდ, ლინგვოქვეყანათმცოდნეობის მეთოდოლოგიით ქართული ენის მეთოდოლოგიით ქართული ენის ელემენტური ცოდნის მეშვეობით ქართულ კულტურასა და ენობრივ ცნობიერებაზე წარმოდგენის შექმნა, ქართულის, როგორც უცხო ენის უფრო საფუძვლიანად შესასწავლად, პრინციპით: კულტურა ენით და ენა კულტურით“... რეალურად, აქ საუბარია პროგრამის მიზნებზე და არა ძლიერ მხარეებზე;

- სასურველია, სწავლების პროცესში მეტი ფოკუსირება მოხდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) კომპონენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებაზე;

- სასურველია, საგანი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები“ (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) - 2 იყოს 10-კრედიტიანი ისევე, როგორც „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები“-1; ეს ორი მიზეზით იქნება გამართლებული: ა) ჯერ ერთი, სწორედ ეს საგნები უვითარებს არაქართულენოვან მსმენელს ძირითად უნარებს და კარგი იქნება, თუ კრედიტმოცულობა ოთხივე სემესტრისათვის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) თანაბრად იქნება განაწილებული; ბ) მეორეც, თავიდან ავიცილებთ საკითხების დუბლირებას და „ქართული ენის ორთოეპიისა და მართლწერის“ ამოღებით, რომლის კომპეტენციებსაც „ფარავს“ სხვა საგნები, გამოვათავისუფლებთ საჭირო 5 კრედიტს;

- სილაბუსებში წარმოდგენილი ლექცია-სემინარების თემატიკა ზოგჯერ შინაარსობრივად არაადეკვატურია საგნის ან კონტიგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგ. „ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1“-ით განსაზღვრული თემებია: (თანამედროვე ქართული ენის კილოები და კილოური წერითი მეტყველება; წერითი მეტყველება და სახელების ბრუნების პარადიგმატიკა სალიტ. ენის ნორმების რაკურსით და სხვ.). სასურველია, მოხდეს სილაბუსების ამ თვალსაზრისით გადამუშავება;

- დასახვეწია პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსთა მიზნები და შედეგები:

ა) „ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1“-ის მიზნებია: ელემენტარული კომუნიკაციური კომპეტენციების ფორმირება; სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობის გამართულად და ფუნქციურად გამოყენების უნარის შექმნა და სხვა. მსგავსი შეუსაბამოებები გვაქვს შედეგების შემთხვევაშიც. იმავე საგნის სწავლების შედეგებში საუბარია იმაზე, რომ სტუდენტს კურსის გავლის შედეგად ექნება: „ქართული სიტყვისა და ფრაზის სინტაქსური და ლოგიკური ფუნქციების ელემენტარული ცოდნა და შეძლებს ზმნისა და სახელის ბრუნების გაცნობიერებას“. მოცემული კურსისთვის განსაზღვრული ლიტერატურაც არაადეკვატურია. კურსის ძირითად სახელმძღვანელოდ შემოთავაზებულია ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ., „ვერბალური კომუნიკაციები“. ასევე, „ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1 და 2“-ის შედეგები ფარავს ერთმანეთს;

ბ) დასაზუსტებელია „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1“-ის მიზნები: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება. კურსის მსვლელობისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდები და ხერხები. სწავლების განრიგი და მასალა ისეა აგებული, რომ სტუდენტი განივითარებს B1 დონეზე – რეცეფციის მიმართულებით“. დასახვეწია შედეგებიც: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“;

გ) მსგავსი ვითარებაა კურსის „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1“-ის შემთხვევაშიც; არაადეკვატურია მიზნები: „გრამატიკული კომპეტენციის ჩამოყალიბება და კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის სასწავლო და პრაქტიკული მიზნებისათვის რეალიზება. (კურსის მიზანია მსმენელი დაეუფლოს წერილობითი კორესპოდენციის შექმნისა და საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევებს“ და შედეგები: „ქართული ენის სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა. ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა. ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“.

სასურველია, სილაბუსებში შესასწავლ თემატიკისათან ერთად მითითებული იყოს სახელმძღვანელოც შესაბამისი გვერდის მითითებით.

თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება. ექსპერტმა, ნანა ფრუიძემ განმარტა, რომ პროგრამა მსმენელს უფრო მეტს სთავაზობდა, ვიდრე რეალურად არის საჭირო. პროგრამის მიზანია, მსმენელსა შეაწავლოს ქართული, როგორც მეორე ენა, რათა შემდგომ მას გაუადვილდეს ქართულ ენაზე გაიაროს საბაკალავრო პროგრამა. კურსი იმგვარადაა აგებული, რომ მსმენელს ფართო ცოდნას მისცემს, თუმცა მსმენელს, რომელსაც ქართულ ენაზე კომუნიკაცია კი უჭირს, გაუჭირდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება. პრობლემა მოიხსნება, თუ პროგრამა გამარტივდება.

თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, არსებული შინაარსით, თუ გავიდოდა პროგრამა შედეგზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ არსებობს მიდგომა, როცა მსმენელს ბევრს აწვდი, ის ცოტას მაინც აითვისებს. რაც შეფასებებში იყო დაფიქსირებული, მაშინ პროგრამის მიზანი მიღწევადია.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭომ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ ფორმით რა ფორმითაც ის არსებობს ამჟამად.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა იყოს მორგებული შესაბამის სამიზნე ჯგუფზე, საჭიროა ახალი ლიტერატურა, რომელიც აღნიშნულ საკითხზეა შექმნილი. ამჟამად არსებული მდგომარეობით, პროგრამა ვერ გავა შედეგზე, რამდენადაც არ არის გათვლილი კონტიგენტის შესაძლებლობებზე და მოლოდინზე. თუ პროგრამაში აქცენტები კომუნიკაციაზე და პრაქტიკულ უნარებზე გაკეთდება, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სახელმძღვანელოებით, მაშინ მიზანი მიიღწევა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ა(ა)იპ - ახალქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის პირობების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს ხუთი წლის მანძილზე უნდა მიეწოდებინათ საგანმანათლებლო მომსახურება სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუდენტებისათვის. თუმცა 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, დაწესებულებისათვის ცნობილი გახდა, რომ მათი რესურსით უნდა განხორციელებულიყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამდენად პროგრამის მომზადება დაწესებულებას მცირე ვადაში მოეწია .

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს ორი სომეხი და ორი აზერბაიჯანელი სტუდენტი, რომლებმაც გაიარეს ფიზიკური მომზადების კურსი, სამედიცინო შემოწმება, აყვანილი არიან სახელმწიფო კმაყოფაზე. ამჟამად სტუდენტები ელოდებიან აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციას.

თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მოწვეულ იქნა აკადემიური საბჭო და გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა, მადონა ჭეიშვილმა იკითხა, თუ აღნიშნული პროგრამა ვერ გაივლის აკრედიტაციას, როდის აქვს დაწესებულებას შემდგომ განაცხადის შემოტანის უფლება.

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა განმარტა რომ საბჭოს მიერ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია, მეორე სამუშაო დღესვე შემოიტანოს სააკრედიტაციო განაცხადი. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 6⁴- ე მუხლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012–2013 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 2012–2013 სასწავლო წლის დაწყებამდე გაიაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული იყო მიღება, მოხდა სტუდენტების ჩარიცხვა, რადგანაც პროგრამის განხორციელება იგეგმებოდა თსუ-ს ბაზაზე. თუმცა სექტემბრის თვეში, გადაწყდა, რომ დაწესებულებას თავისი რესურსით უნდა განეხორციელებინა პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

დაიწყო - 20:05 სთ -ზე

დასრულდა - 20:11 სთ -ზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის, სამართლებრივი კოლიზიებისა და დაწესებულების აკადემიური საბჭოს დადგენილების არსებობის გათვალისწინებით, საბჭო იმსჯელებს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით. საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ექსპერტს გადაეცეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები, სხდომის მიმდინარეობისას შესწავლის მიზნით. ექსპერტის მიერ მასალების შეფასების დასრულების შემდგომ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მოხდება რიგგარეშედ.

ექსპერტს, ნანა ფრუიძეს გადაეცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა შემდგომი განხილვისათვის.

ექსპერტმა ნანა ფრუიძემ 21:18-სთ-ზე საბჭოს აცნობა მზაობა გადაცემული მასალების შეფასების დასრულებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, მისი შენიშვნები იყო თუ არა ასახული დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციაში. ექსპერტმა განმარტა, პროგრამა გადამუშავებულია, ორიენტირებულია სამიზნე ჯგუფზე. სახელმძღვანელოებს რაც შეეხება, მიმდინარეობს ე.წ. „რიდერების“ მომზადება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულად შესაძლებელია ჩაითვალოს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- ძირითადი დისციპლინების ნუსხაში შესულია საგნები, რომლებიც ტურიზმის დისციპლინები არაა: მაგ. სახელმწიფო მართვის საფუძვლები, მეორე უცხო ენა (გერმანული). სასურველი იქნებოდა ზემოაღნიშნული საგნების არჩევით დისციპლინებში გადატანა, ხოლო მათ ნაცვლად „კურორტოლოგიის“ და გარემო და „მდგრადი განვითარების“ გადმოტანა;

- ტურიზმის სპეციალობის დასაუფლებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკას, რისთვისაც სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (7) მათ შორის ტურისტულ ფირმებთან („ტონთიო“; „ვოიაჟ-გე“) და სასტუმროსთან (შპს „ვიქტორია“). ქ. გორში აღნიშნული აქტივობისათვის მწირი რესურსებია, რისთვისაც საჭიროა თბილისის რესურსების გამოყენება. მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო კორპუსი ქ. თბილისში;

- სილაბუსები შედგენილია სუხიშვილის უნივერსიტეტში შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, მაგრამ მრავალ მათგანში არ არის გამოიჯნული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ასე მაგალითად, სილაბუსი საგანში - „სახელმწიფო მართვის საფუძვლები“ მითითებულია ერთიდაიგივე ლიტერატურა სავალდებულოდ და დამხმარედ, აგრეთვე ექვსივე სავალდებულო ლიტერატურა მითითებული უმრავლესი თემის შესასწავლად, როცა ზოგიერთის მიხედვით მხოლოდ ერთი კონკრეტული თემის შესწავლაა შესაძლებელი. საგანში კურორტოლოგია არ არის შეტანილი სახელმძღვანელო: ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი 2011, რომლის ჩამოტვირთვა უფასოდ შესაძლებელია ინტერნეტიდან:

- პოტენციური დამსაქმებლებისთვის უნივერსიტეტის მიერ შედგენილია კითხვარი 15 კითხვისაგან. თუმცა, მასში არაა პირდაპირი კითხვები სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით. კითხვების მეშვეობით შესაძლებელია დადგენა იმ უნარ-ჩვევებისა, რომელიც უნდა გააჩნდეს ბიზნეს-ადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში. სასურველია მათი მეტი ჩართულობა სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების შედგენისას და ამ მიზნით მათგან რეკომენდაციების მიღება

თავმჯდომარემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით იკითხა, იყო თუ არა აღნიშნული სავალდებულოდ გასათვალისწინებელი. მომხსენებელმა ლევან მადათოვმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნები სავალდებულოდ გასავლელი არ არის, შესაბამისად, ექსპერტმა თავის შეფასებას სარეკომენდაციო ხასიათი მისცა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- საექსპერტო კომისია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძირითადი დარგობრივი კომპეტენციის საგანთა ჩამონათვალში შემოთავაზებული სასწავლო დისციპლინები: *ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი* კონკრეტულად უნდა გულისხმობდეს საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის სწავლების ყველა სავალდებულო კომპონენტში კომპეტენციის დაგროვებას;

- სასურველია და შესაძლებელი ენის პრაქტიკული კურსის 5 კრედიტიანი მოცულობის ფარგლებში გაიზარდოს კვირეული საკონტაქტო/სააუდიტორიო საათების მოცულობა (კვირეული 6 საათი), წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული საკონტაქტო საათების მოცულობა არ არის საკმარისი იმ მიზნის მისაღწევად, რასაც საკომუნიკაციო ენის სწავლების სტანდარტი და ასევე სახელმწიფო მოთხოვნა უყენებს ამ დარგის სპეციალისტებს;

- მნიშვნელოვანია თუ კი, უფრო დეტალურად გაიწერებოდა თითოეული ენობრივი დონე კონკრეტული ენობრივი კომპეტენციის შედეგების ინდიკატორების შესატყვისად (იხ. უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო), რასაც აფერხებს პრაქტიკული კურსისათვის შეუსაბამო ასპექტების დამატება ენის პრაქტიკული სწავლების ფორმატში (მაგ., პრესის ენა, სამინაო კითხვა და მხატვრული ტექსტის ანალიზი);

- არჩევითი დისციპლინების ჩამონათვალშია *ფილოსოფიის შესავალი*, რაც მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს ერთ-ერთ ძირითად დისციპლინათა შორის, რომელიც სავალდებულოა და აგრეთვე აუცილებელი პირობაა არამხოლოდ ფილოლოგიური კვლევებისათვის, არამედ სრულიად ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის;

- საგანთა რეგისტრში წარმოდგენილი *მხატვრული ტექსტის ანალიზის თეორია და პრაქტიკა*, რომელიც ორ სემესტრზეა გაწერილი პრაქტიკულად შესაძლებელია ინგლისური ენის სტილისტიკის სასემინარო მასალად იქნას წარმოდგენილი სასწავლო პროგრამაში;

- სასურველია მოხდეს სასწავლო დისციპლინის *ინგლისური ენის საერთაშორისო ვარიანტები* სათაურის კორექცია, შესაბამისად უნდა იკითხებოდეს: *ინგლისური ენის ვარიანტები*;

- სასპეციალობო არჩევით საგანთა რეგისტრში წარმოდგენილი ორსაფეხურიანი საგანი *დარგობრივი ენის თეორია და პრაქტიკა* სხვა არაფერია თუ არა კონკრეტული დარგობრივი ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, რომელიც შესაძლოა და სასურველია აგრეთვე გაკეთდეს *თარგმნის თეორიისა და*

პრაქტიკის კურსის სემინარზე, რომლის დამატება ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კურიკულუმისათვის, რათა მოხდეს კურსდამთავრებულთა დარგობრივი კომპეტენციის მაქსიმალური მიახლოება ბაზრის მოთხოვნებთან;

- მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში კრედიტების მიზნობრივი განაწილებისათვის, თუ საბაკალავრო ნაშრომისთვის განისაზღვრება 5 კრედიტით;

- სასურველია ზემოხსენებულმა პროგრამამ წარმოადგინოს 60 კრედიტიანი დამატებითი პროგრამის პაკეტი, რომელსაც შესთავაზებდა საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი სხვა პროგრამების სტუდენტებს დამატებითი (minor) პროგრამის სახით;

- სასურველია მეთოდოლოგიური ნაწილი კონკრეტული დისციპლინისათვის გაიწეროს ინდივიდუალურად;

- სასურველია თუ შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით, უცხოური ენების საბოლოო შეფასებისას დადასტურდება სტუდენტის როგორც ზეპირი ისე წერილობითი მეტყველების კომპეტენცია (გამომდინარე სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან, სწავლის შედეგები გადამოწმდება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის უნარის შესაბამისად);

- პროგრამის განხორციელებისას სასურველია გაფართოვდეს ინტერნაიონალიზაციის სფერო, რაც შემდგომ ეტაპზე იგულისმებს სტუდენტთა ჩართულობას უცხოური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გაცვლით პროგრამებში, ასევე მათ მობილობას;

- სასურველია დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ასევე საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს დარგისთვის აუცილებელი და სპეციფიკური მოწყობილობებითა (მაგ., ლინგოფონის კაბინეტი, მითუმეტეს, რომ პროგრამაში ცალკე დისციპლინადაა მოაზრებული თეორიული ფონეტიკა, აუდიო-ვიზუალური სწავლებები და სხვ.) და მასალებით (იგულისხმება აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალა), რათა პროგრამის ფუნქციონირება მოხდეს სრულყოფილად;

- სასურველია, სასწავლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სია განვირცოვო.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ წინა პროგრამაც მას ჰქონდა შეფასებული, ამჟამად პროგრამა საგრძნობლად გასწორებულია, თუმცა მის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში კი პროგრამა იდეალური იქნება. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არჩევით საგანთა ბლოკი სასწავლო კურსის „ფილოსოფიის“ ჩასმამ, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სტუდენტმა აღნიშნული საგანი საერთოდ არ აირჩიოს, თუმცა ფილოსოფია ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს. ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, დარჩენილ ნაწილსაც გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- სასურველია დასახელებისა და შინაარსის ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანა და დაზუსტება დისციპლინებისათვის: კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია, ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების ელემენტები, ოპერაციული სისტემები;

- სასურველია რიგი პრაქტიკული საგნებისათვის სწავლების მეთოდების შერჩევისას უფრო მეტად გათვალისწინდეს საგნის სპეციფიკა;

- სასურველია სილაბუსებში გაიწეროს ცოდნის შეფასების კომპონენტები დეტალურად და დაკონკრეტდეს გამომდინარე საგნის სპეციფიკიდან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს და რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ფარმაციაში“, კურსის სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, უმნიშვნელო ნაწილი ეთმობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ძირითადად კი განიხილება სოციალური ფარმაციის საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია მოხდეს ამ სასწავლო კურსის მოდიფიცირება იმ ფორმით, რომ მასში მეტი ყურადღება დაეთმოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ფარმაციაში;

- საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართოს პროფესიული პრაქტიკის ელემენტი, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულის შესახებ ყურადღება გამახვილდა დამსაქმებლების მხრიდანაც;

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროგრამის აღმასრულებელი აკადემიური პერსონალის დაინტერესება უცხოეთთან სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტებით, რაც უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობას სასწავლო პროცესებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობას უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პროცესებში, როგორც სწავლის, ისე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას;

- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო რესურსებით, შესაბამისი დარგობრივი ბაზებით აკადემიური პერსონალის და სტუდენტების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება რეკომენდაციებს.

თავმჯდომარემ იკითხა, სამაგისტრო პროგრამას რატომ არ ჰქონდა პრაქტიკული კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს საკუთარი კლინიკური ბაზა, სადაც სტუდენტები გადაიან პრაქტიკას, აგრეთვე მიმდინარეობს მემორანდუმების გაფორმება ფარმაცევტულ ფაბრიკასთან.

საბჭოს წევრმა მადონა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ექსპერტის შეფასებების პროგრამის ხარვეზზე მეტყველებს და შეიძლება გახდეს აკრედიტაციის სატნდარტების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმების გაფორმების შემდეგ მისი ასახვა მოხდება პროგრამაში. საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების საკითხთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ეს მისი აზრით სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა და გათვალისწინებული იქნებოდა პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართაც ილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართაც ილგება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

- სასურველია პროგრამას ეწოდოს „ეკონომიკა“, ნაცვლად „ეკონომიკური თეორიისა“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში დეტალურად გაიწეროს სალექციო თემატიკა, დამხმარე და ძირითადი ლიტერატურა;

- სასურველია პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - შეიცავდეს 3 ენის შედარებით ნაწილს (აზერბაიჯანულს, სომხურსა და აფხაზურს). ვინაიდან პროგრამაში არსებული კურსი მხოლოდ სომხურ ენასთან შედარებით ისწავლება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, -

ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამასა და სილაბუსებში დაიხვეწოს სწავლის შედეგების ჩამონათვალი, როგორც სტილისტური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ასევე დაიხვეწოს კომპეტენციათა რუკა;
- სასურველია საფაკულტეტო შესავლის საგნების დაემატოს შესავალი ფილოსოფიაში, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჰუმანიტარული კომპეტენციის გამომუშავებისათვის;
- უცხო ენის (ინგლისური) სასწავლო კურსები უფრო მეტ დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც გათვალისწინებული 20 სავალდებულო კრედიტი, რომელიც პროგრამის შესაბამისად - ინგლისური ენის სწავლა დამწეები (Elementary) კურსით იწყება ყველას სტუდენტისათვის, მაშინ როდესაც ეროვნული გამოცდების მიხედვით სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისად უფრო მაღალი დონე (B1). ამდენად ეს საკითხი მოითხოვს უფრო მეტ დაზუსტებას;
- პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობა (120), მეტად მოუქნელს ხდის სტუდენტთა მიერ სპეციალობის თავისუფალ არჩევანს. სასწავლო პროგრამა ნაკლებად ითვალისწინებს არჩევით კურსებს. არჩევით საგნებს ეთმობა სულ 15 კრედიტი. ამდენად სასურველია ძირითადი სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობა შემცირდეს და გაიზარდოს არჩევითი საგნების კრედიტები.
- სასურველი იქნებოდა თუ გაიზარდებოდა სავალდებულო საგნებში სემინარული მუშაობის საათების რაოდენობა 2 საათამდე, რადგანაც მეტი საშუალება მიეცეს სტუდენტებს კონკრეტული წყაროების გასაცნობად, მით უფრო სწავლების შედეგებში გათვალისწინებულია წყაროებზე მუშაობის უნარის გამომუშავება
- სასწავლო სილაბუსებში ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროები და დოკუმენტები, სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს საისტორიო წყაროების შესწავლას;
- სასწავლო სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი თანამედროვე კვლევის შედეგები, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს უფრო ვრცლად გაეცნოს თანამედროვე ეპოქის კვლევის შედეგებს შესაბამის საგანში;
- სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს უფრო ფართოდ სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა საგანზე დაშვების წინაპირობა, არასწორად არის წარმოდგენილი საგანში პალეოგრაფია, რადგან სილაბუსში წარმოდგენილი წინაპირობა - ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების მოდულში შემავალი

კურსები, ძველი ქართული ენა, ვერ გახდება წინაპირობა ისტორიის პროგრამისათვის. ასეთი წინაპირობა გათვალისწინებულია ქართული ლიტერატურის პროგრამისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამასა და სილაბუსებში დაიხვეწოს სწავლის შედეგების ჩამონათვალი, როგორც სტილისტური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ასევე დაიხვეწოს კომპეტენციათა რუკა;
- სასურველია საბაკალავრო პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების რიცხვი, რათა პროგრამა უფრო მოქნილი გახდეს;
- სასურველია პროგრამაში დაემატოს ფილოსოფიის შესავალი კურსი, რაც აუცილებელია ფილოლოგიური და ჰუმანიტარული კომპეტენციის გამომუშავებისათვის;
- უმჯობესია ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგ.: ქართული ფილოლოგიის შესავალი და აკადემიური წერა) საკითხები სხვაგვარად ჩამოყალიბდეს. მაგ. ქართული ფილოლოგიის შესავალ კურსში აქცენტი გაკეთდეს მათში შემავალ დისციპლინებზე, ხოლო აკადემიური წერის სასწავლო კურსში შემცირდეს მართლწერის საკითხები.
- უმჯობესია ძირითადი სპეციალობის არჩევითი ბლოკიდან ცალკეული საგნები საფაკულტეტო არჩევით ბლოკში გადავიდეს (კულტუროლოგია, რელიგიის ისტორია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, History of culture, History of Georgian culture, History of European culture). ასევე უმჯობესია პროგრამიდან ამოღებულ იქნას ფსიქოლინგვისტიკა, რადგან ბაკალავრიატის კომპეტენცია ამ ტიპის გაღრმავებას არ ითვალისწინებს;

- სასურველია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება, ცალკეულ შემთხვევაში უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის დამატება (მაგ. ლიტმცოდნეობის შესავალი, ენათმეცნიერების შესავალი).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

15. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძირითადი დარგობრივი კომპეტენციის საგანთა ჩამონათვალში შემოთავაზებული სასწავლო დისციპლინები: ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი კონკრეტულად უნდა გულისხმობდეს საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის სწავლების ყველა სავალდებულო კომპონენტში კომპეტენციის დაგროვებას, შესაბამისად, სილაბუსში უნდა კონკრეტულად გაიწეროს: მოსმენის, მეტყველების, კითხვის, წერისა და კულტურის დიალოგის ცალკეულ მიმართულებებში სწავლის მიზნებისა და შედეგების გაწერას სათანადო ინდიკატორების მიხედვით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თუ ინგლისურის პრაქტიკული კურსის მოცულობა გაიზარდებოდა 5 კრედიტით. ასევე არსებითია, თუ ინგლისურის პრაქტიკული კურსის ცალკეულ სილაბუსში ზედმიწევნით ზუსტად გაიწერებოდა კურსის დასასრულს მისაღწევი ენობრივი დონე;

- სასურველია, რომ საფაკულტეტო დისციპლინათა შორის ფიქსირდებოდეს ფილოსოფიის შესავალი, რომელიც სავალდებულოა და აგრეთვე აუცილებელი პირობაა არამხოლოდ ფილოლოგიური კვლევებისათვის, არამედ სრულიად ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის;

- კურიკულუმში წარმოდგენილი სასპეციალობო დისციპლინათა შორის წარმოდგენილია ინგლისური ენიდან თარგმნის თეორიისა და პრაქტიკა. აგრეთვე არჩევით საგანთა ჩამონათვალშია დარგობრივი ენების როგორცაა პრესა და ბიზნესი, ამ სასემინარო საათების კომბინაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია თარგმნის წინამდებარე კურსთან ერთად, სადაც ინტეგრაციული პრინციპზე დაყრდნობით სტუდენტები დაეუფლებიან ინგლისური ენიდან დარგობრივი ტექსტების თარგმნის ტექნიკებს. რაც საფუძვლად დაედება კურსდამთავრებულთა დარგობრივი კომპეტენციის მაქსიმალური მიახლოება ბაზრის მოთხოვნებთან;

- სავალდებულოდ მიგვაჩნია, რომ ძირითადი სასპეციალობო საგანთა ჩამონათვალიდან არჩევითი დისციპლინების სიაში გადანაცვლდეს დისციპლინები: დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია, ინგლისის გეოგრაფია, History of England, ინგლისურენოვანი ტექსტის რეცენზირება-რეფერირება, ბრიტანულ-ამერიკული

ინგლისურის განსხვავებები, რომელიც იძლევა დამატებით კომპეტენციებს დარგში და არა სავალდებულოს. გარდა ამისა, დისციპლინები, როგორცაა ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, ისინი უნდა წარმოადგინოს ისტორიის პროგრამამ და სტუდენტი არჩევანის საფუძველზე შესძლებდა დამატებითი კომპეტენციების შექმნას;

- სასპეციალობო დისციპლინაში წარმოდგენილი მეორე უცხო ენა (გერმანული), ასევე უნდა გახდეს საუნივერსიტეტო არჩევითი საგნების ნაწილი;

- სასურველია საფაკულტეტო არჩევითი საგნების სიაში იკითხებოდეს კლასიკური ენები, მათ შორის: ძველი ბერძნული ქართველოლოგიური მეცნიერებებისათვის, ხოლო ლათინური ინგლისური ფილოლოგიისათვის, აგრეთვე აგრეთვე ანტიკური ლიტერატურის ისტორია;

წინამდებარე შეთავაზებების საფუძველზე კურიკულუმი იქნება შედარებით მოქნილი, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემდა არჩევანის საფუძველზე შეადგინოს დამატებითი კომპეტენციების მიმცემ დისციპლინათა ჩამონათვალი და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაიღრმავოს ცოდნა კონკრეტული (ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი) მიმართულებით.

- სასურველია მეთოდოლოგიური ნაწილი კონკრეტული დისციპლინისათვის გაიწეროს ინდივიდუალურად;

- სასურველია თუ შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით უცხოური ენების საბოლოო შეფასებისას გამომდინარე სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან, სწავლის შედეგები გადამოწმდება როგორ ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის უნარის შესაბამისად;

- სასურველია დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ასევე საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს დარგისთვის აუცილებელი და სპეციფიკური მოწყობილობებითა (მაგ., ლინგვოფონის კაბინეტი, მითუმეტეს, რომ პროგრამაში ცალკე დისციპლინადაა მოაზრებული თეორიული ფონეტიკა, აუდიო-ვიზუალური სწავლებები და სხვ.) და მასალებით (იგულისხმება აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალა), რათა პროგრამის ფუნქციონირება მოხდეს სრულყოფილად;

- სასურველია, სასწავლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სია განივრცოს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ჯანდაცვის ბაკალავრი“ (რომელიც „უმადლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-4 მუხლთან წინააღმდეგობაში ზოგადად არ მოდის), ფორმულირებული იქნას „ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში“ ან „ფარმაციის ბაკალავრი“ რაც უფრო ნათელს გახდის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალობის მიხედვით, მით უმეტეს, რომ „უმადლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მიზანია (მუხლი 1; პუნქტი „ვ“): „საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება“, „ფარმაციის ბაკალავრი“ კი იძლევა უფრო კონკრეტულ ინფორმაციას მიღებული განათლების შესახებ, ხოლო „ჯანდაცვის ბაკალავრი“ ზოგადია და შესაძლებელია მოიაზრებდეს ჯანდაცვის მთელს მიმართულებას (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, საექთნო საქმე, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია);

- სასურველია დაიხვეწოს პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამონათვალი, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად, რათა პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების ძირითადი პოსტულატები ადექვატურად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში;

- სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც რიგ შემთხვევებში (მაგ: უმეტესობა კურსებისა (ადამიანის ნორმალური ანატომია, ადამიანის ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოლოგია და გენეტიკა, ზოგადი ქიმია, ფარმაკოგნოზის 1,2 და ა.შ (დანართი I).) განვითარებს ერთსა და იმავე ღირებულებებს: „სტუდენტი კურსის ფარგლებში ყალიბდება როგორც ეთიკურად გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი მოვალეობის გაცნობიერების უნარი“, რაც ნაკლებად მისაღწევია მხოლოდ ამ კურსის

ფარგლებში, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი) სწავლის შედეგების ხელოვნურად გაწერის გარკვეულ უხერხულობას იძლევა);

პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა;

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის რეალური შეფასების სრულყოფის შესაძლებლობა იქნებოდა;

- სასურველია დაიხვეწოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი (დაკინკრეტდეს პრაქტიკის გავლის ფორმატი, რა პრონციპით ნაწილდება 15 კრედიტი სემესტრის ფარგლებში, დაიხვეწოს შეფასების სისტემა);

- სასურველია რიგი კურსები (პათოლოგიური ფიზიოლოგია, ზოგადი ჰიგენა) არჩევითი კურსებიდან გადატანილ იქნას სავალდებულო კურსებში, ვინაიდან პათოლოგიური ფიზიოლოგია და ზოგადად პათოლოგია წარმოადგენს ფარმაკოთერაპიის (სავალდებულო კურსია!) შესწავლის აუცილებელ წინაპირობას, ხოლო ზოგადი ჰიგენა უფრო მეტად უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობას;

- სასურველია კურსი „ბიოქიმია“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „ფარმაკოლოგიის“ შესწავლას, ვინაიდან ის წარმოადგენს ფარმაკოლოგიის შესწავლის აუცილებელ წინაპირობას, ხოლო თავად „ფარმაკოლოგია“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „სოციალურ ფარმაციას“, ვინაიდან აღნიშნული კურსის შინაარსი ადასტურებს, რომ „ფარმაკოლოგია“ წარმოადგენს „სოც.ფარმაციის“ შესწავლის წინაპირობას, ამასთანავე „ფარმაკოლოგია“ მიმართულების ბაზისური კურსია, ხოლო „სოც.ფარმაცია“ – სპეციალობის განმსაზღვრელი; ასევე, კურსი „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით“ სასურველია წინ უსწრებდეს „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია I“-ის შესწავლას;

- სასურველია ზოგადად დაიხვეწოს კურსების სილაბუსებში მითითებული წინაპირობები (პრერეკვიზიტი კურსების სიმრავლეა) და მიეთითოს ის კონკრეტული კურსი (ან კურსები), რაც წინაპირობების ლოგიკურ ჯაჭვში თანმიმდევრობის პრინციპით უშუალოდ შესაბამისი იქნება. არჩევით კურსების სილაბუსებში მითითებული წინაპირობების სიმრავლე ამცირებს მათი შესაბამის სემესტრებში არჩევითობის შესაძლებლობას. აღნიშნულის რეალური შეფასება შესაძლებელი იქნებოდა წინაპირობების მატრიცის შექმნით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების მანიშნებელია და მოითხოვა ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი და პროგრამის ხელმძღვანელი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

17. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მითითება გააკეთა დაწესებულების სააკრედიტაციო განაცხადზე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო განხორციელებულიყო მიღწევად რეჟიმში, და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის 5 წელზე ნაკლები ვადით აკრედიტაციის შესახებ.

ამასთან, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები ვრცელდება მხოლოდ აღნიშნულ სტუდენტებზე. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი უწევს საბჭოს რეკომენდაციას, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, თუ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იქნებოდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა იურიდიული ეთიკა და სამართლის მეთოდები. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ისეთი მნიშვნელოვანი კურსი, როგორცაა სასამართლო უნარ-ჩვევები, არჩევითი კურსების მოდულიდან გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
- სასურველია, თუ გაიზრდებოდა ზოგიერთ კურსში პრაქტიკული მეცადინეობის საათების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების უფრო უკეთ გამოუმუშავებას;
- სასურველია ასევე დაიხვეწოს პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები და კომპეტენციების რუქა;
- სასურველია უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერება კომუნიკაციის უნარის გასაძლიერებლად;
- სასურველია პროგრამა გაძლიერდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა. ექსპერტმა სერგო ჭელიძემ განმარტა, რომ პროგრამის ტექნიკური ბაზა კარგი იყო, თუმცა დაფიქსირდა გარკვეული პრობლემები.

თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტი იყო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამაზე ირიცხებოდა 250 სტუდენტი. ამჟამად, დაწესებულების მიზანია დაამთავრებინოს ამ სტუდენტების სწავლება, შესაბამისად, იგი ითხოვს აკრედიტაციის მინიჭებას ამ პროგრამაზე 2 წლის ვადით, რომლის სამართლებრივი შედეგები მხოლოდ აქამდე ჩარიცხულ პირებზე გავრცელდება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

18. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელწმიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს წარუდგინა, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პრინციპით ძირითადი სპეციალობას (190 კრედიტი) დამატებული სპეციალობის არჩევითი კურსები (20 კრედიტი). კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აზრით გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ საგანმანათლებლო პროგრამის აიგებოდა ძირითადი, დამატებითი სპეციალობებისა და თავისუფალი და არა სპეციალობის არჩევითი კრედიტების პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული პრინციპის განხორციელება სასწავლო უნივერსიტეტს საშუალებას მისცემდა დამატებითი პროგრამები შეეთავაზებინა სხვა იგივე ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისათვის. მითუმეტეს, რომ სტუდენტებთან გასაუბრებისას ამ იდეამ დიდი მოწონება დაიმსახურა;

- სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც კომისიის აზრით შეუძლებელია. ამასთან, მე-6 კომპეტენცია ღირეულებები სილაბუსების უმეტესობაში ფაქტობრივად იდენტურია: „სტუდენტი კურსის ფარგლებში ყალიბდება როგორც ეთიკურად გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი მოვალეობის გაცნობიერების უნარი“, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი). პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის

ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა;

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობა იქნებოდა;

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას;

- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო რესურსებით, შესაბამისი დარგობრივი ბაზებით აკადემიური პერსონალის და სტუდენტების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია დაიხვეწოს პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამონათვალი, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად, რათა პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების ძირითადი პოსტულატები ადექვატურად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში;

- საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართოს პროფესიული პრაქტიკის ელემენტი;

- სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუკა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც კომისიის აზრით შეუძლებელია. ამასთან, მე-6 კომპეტენცია ღირებულებები სილაბუსების უმეტესობაში ფაქტობრივად იდენტურია: „საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება. ბიზნეს ურთიერთობებში ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა“, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი). პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა;

- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს. ამ კურსის სილაბუსი ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს “სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც კომისიის აზრით დამაკმაყოფილებელია;

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობა იქნებოდა.

